ინფორმაცია სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრების შესახებ

გრანტები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 9072.7 ათასი ლარი და 2022 წლის მეორე კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 5431,9 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 3640,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 425,9 ათასი ლარი (,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, ,,სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 182,5 ათასი ლარი და საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია - 243,4 ათასი ლარი), ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 8646,8 ათასი ლარი, მათ / შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების (5026,0 ათასი ლარი) ფარგლებში მიმდინარეობს პროექტების დაფინანსება ეტაპობრივად, კერძოდ სოფელ ოფურჩხეთში რიდვას უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ბანოჯაში მე-15 და მე-18 ქუჩებზე გზის რეაბილიტაცი ბეტონის საფარით, სოფელ ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი გზის (შეერთება) რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, ქალაქ წყალტუბოში ავალიანისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე ასევე თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე არსებული სანიაღვრე სისტემებისა და ასფალტის საფარის რეაბილიტაცია, სოფელ გეგუთში ბოდოკიების, ღალღას და ზივზივაძეების უბნებში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ გვიშტიბში მე-8 ჩიხში სავალი ნაწილის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ცხუნკურში გაღმა ჩუნეშში მეშვიდე ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ტყაჩირში ჯანელიძეების სინაურიძეების უბანში და სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ყუმისთავის მესამე მეთექვსმეტე ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში გურეშების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ჟონეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ცხუნკურში მესამე, მეთექვსმეტე ქუჩის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ დერჩისა და დღნორისაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 518,9 ათასი ლარი;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების (1862,7 ათასი ლარი) ფარგლებში განხორციელდა 2023 წლის 10-13 იანვარს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელად კერძო საცხოვრებელი სახლების დაზიანებების აღმოსაფხვრელად სამშენებლო მასალების შეძენა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღებისა და სოფელ ოფშკვითის კლუბის სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიღებულია 569,1 ათასი ლარი, მათ შორის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა და შიდა გზების გზების მოხვნა ინერტული მასალით,სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო სამშენებლო მასალების და სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისთვის საჭირო მასალების შესყიდვა თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით, გარე განათების მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა და სხვა.